

შპს „ქართუ უნივერსალი“

**ფინანსური ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა**

2017 წლის 31 დეკემბერი

შპს „ქართუ უნივერსალი“

სარჩევი

- 1) დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
- 2) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 3) სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 4) კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
- 5) ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 6) განმარტებითი შენიშვნები
- 7) დასკვნის ბოლო გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართუ უნივერსალის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას.

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ქართუ უნივერსალის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობით მოსაზრების საფუძველი

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და დასასრულში ჩვენ არ ჩავვითარებთ მარაგების (გარდა მზა პროდუქციის) ფიზიკური დათვალიერება ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მარაგების (მასალების, წარმოების და სხვა მარაგების) რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2017 წლის 31 დეკემბრს და 2016 წლის 31 დეკემბერს, როგორც შენიშვნა 7-შია აღრიცხული, შესაბამისად 2 041 708 ლარი, 4 561 732 ლარი. შედეგად ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება, აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად, ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ანგარიშის ფინანსური ანგარიშგების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისათვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA კოდი) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო სანქოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნულ მოთხოვნების (IESBA კოდი) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები
მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად. იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე, რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება, გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის განმახორციელებლები ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში, ასევე:

-- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი

საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისაგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდულო მორიგებას, გაყალბებას, არსწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევა/უარყოფას.

-- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა, სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.

-- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

-- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დეამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა მნიშვნელოვნად ჩაიტავლოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება არის მზია გლოველი.

აუდიტორი

მზია გლოველი

27 სექტემბერი 2018 წელი

თბილისი. საქართველო.

შპს „ქართუ უნივერსალის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2016	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	921,339	76,304	101,134
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები			
მოთხოვნები ბანკების მიმართ			
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები			
წარმოებული ფინანსური აქტივები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გადახდილი ავანსები			
გაცემული სესხები			
სესხების გაუფასურების ანარიცხი			
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,041,708	4,561,732	3,443,409
გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			
სავაჭრო მოთხოვნები	2,334,216	3,082,464	2,588,206
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები			
დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები			
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან			
საინვესტიციო ქონება			
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში			
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი			
სხვა საგადასახადო აქტივი	657,623	2,188,730	
ბიოლოგიური აქტივები			
სხვა მიმდინარე აქტივები	266,318	378,218	670,733
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,673,662	3,900,391	
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9,329,697	10,354,788	11,598,625

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები			
სულ აქტივები	22,224,563	24,542,627	18,402,107

ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	571,035	935,941	1,402,236
სხვა ფინანსური ვალდებულებები			
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5,394,790	7,246,605	6,146,770
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		551,579	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			247,500
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
მიღებული გრანტები			
სუბორდინირებული სესხი			
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	5,965,825	8,734,125	7,796,506

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	222,676	222,676	222,676
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
წილობრივი გადახდის რეზერვი			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	16,036,062	15,585,826	10,382,925
სხვა რეზერვები			

სულ საკუთარი კაპიტალი	16,258,738	15,808,502	10,605,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	22,224,563	24,542,627	18,402,107

დირექტორი

გ.ჭყონია

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2017 წ.	2016 წ.
შემოსავალი		35422285	33765922
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		32497567	26152339
საერთომოგება		2924718	7613583
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		1610147	1673049
საოპერაციო მოგება		1314571	5940534
ფინანსური ხარჯები			
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან		718880	816154
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8259	68575
მოგება/ზარალი და ბეგრამდე		2041710	6825263
მოგების გადასახადი			975222
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი			
წმინდამოგება/ზარალი		2041710	5850041

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარი

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2016 წელი		222,676	10,382,925	10,605,601
პერიოდის მოგება			5,850,041	
გაცემული დივიდენდი			647140	
31 დეკემბერი 2016 წელი		222,676	15,585,826	15,808,502
პერიოდის მოგება			2,041,710	
გაცემული დივიდენდი			1,591,474	
31 დეკემბერი 2017 წელი		222,676	16,036,062	16,258,738

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერი

ლარი

	შენიშვნა	2017 წ.	2016 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,041,710.00	6,825,263.00
ცვეთა ამორტიზაცია		2,061,655.00	2,491,249.00
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან			
მოგება/ზარალი სავალუტო სახრების გადაფასებიდან		718,880.00	816,154.00
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		4,822,245.00	10,132,666.00
გაცემული სესხები			
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში		2,520,024.00	(1,118,323.00)
ზრდა/შემცირება გადახდილი ავანსები			
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		748,248.00	(494,258.00)
ზრდა/შემცირება გადასახდელ გადასახადებში		(1,871,760.00)	244,125.00
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		916,485.00	162,216.00
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან		2,312,997.00	(1,206,240.00)
გადახდილი პროცენტი		(751,811.00)	(785,930.00)
წმინდა ფულის შემოსავლა(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		1,561,186.00	(1,992,170.00)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა (მათ შორის მიწა)		(3,809,835.00)	(5,147,803.00)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში			

არამატერიალური აქტივების შეძენა			
სარეზერვო კაპიტალი			
წმინდა ფული (გამოყენებული) მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,809,835.00)	(5,147,803.00)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხი		11,369,274.00	8,331,999.00
გადახდილი სესხი		(11,506,361.00)	(10,702,382.00)
გადახდილი დივიდენდი		-1591474	-647140
წმინდა ფული (გამოყენებული) მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(1,728,561.00)	(3,017,523.00)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		0	0
წმინდა ფულის ზრდა		845,035.00	(24,830)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		76,304.00	101,134.00
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		921,339.00	76,304.00

დირექტორი

გ.ჭყონია

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ქართუ უნივერსალი“ არის შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურუდიული მისამართია ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №5, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205282362

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორებია ფიზიკური პირები:

- 1) 01008000849, გიორგი თოფაძე 23.5%
- 2) 01008010799, ვლადიმერ გაჩეჩელაძე 4%
- 3) 01018000518, ზურაბ კოსტავა 3%
- 4) 01018003241, გიორგი ჭყონია 4%
- 5) 01008016933, პაატა ქვლივიძე 3%
- 6) 01024024666, ლევან კავთელიშვილი 2.4%
- 7) 01018003215, ვლადიმერ კუხიანიძე 2.4%
- 8) 01008008045, გიორგი გვასალია 2.4%
- 9) 01005011697, ირაკლი კანკია 2.4%
- 10) 01005003998, დავით კილურაძე 2.4%
- 11) 01019010260, ქეთევან ბოლქვაძე 0.5%
- 12) 01024001118, გიორგი თედორაძე 2%
- 13) 01008009172, ნიკოლოზ სვანიძე 4%
- 14) 01008026530, ეკატერინე მაგნიძე 1%
- 15) 31001008089, ნიკოლოზ სონღულაშვილი 1%
- 16) 01008004721, ირაკლი თოფაძე 23%
- 17) 01008005986, გიორგი თოფაძე 15%
- 18) 01005011547, ოთარი ჭილაძე 1%
- 19) 01008014210, გიორგი თოფაძე 2%
- 20) 01008002259, ფატიკა პანაძე 1%

კომპანიის დირექტორია გიორგი ჭყონია

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება და მისი რეალიზაცია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოური ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება - ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

31 დეკ. 2017 31 დეკ. 2016 31 დეკ. 2015

1 USD/GEL	2.5922	2.6468	2.3966
1 EUR/GEL	3.1044	2.7940	2.6137

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისი პრინციპები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო

სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოშვებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისაგან.

რადგან 2017 წლის 31 დეკემბრისათვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ, მენეჯმენტი არ გამოირიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) პირველი მიღება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ანგარიშგებებს.

შესაბამისად კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული IFRS სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ყველა წინა პერიოდისთვის, 3015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჩათვლით. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა ადგილობრივი საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის არის პირველი ფინანსური ანგარიშგებები რომელიც მოამზადა IFRS-ის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფინქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ისტანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივების გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამიუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები, ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯი შეიცავს შუამავლისათვის (გაყიდვებისშუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისას, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ-გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება. მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია. თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდის მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა არ იცვითება

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.“

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის/მონტაჟის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მთი გემგოური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

შენობა ნაგებობები

მანქანა დანადგარები

ოფისის აღჭურვილობა

სხვა ძირითადი საშუალებები

3-8

3-8

3-8

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია შესაბამის პერიოდში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისათვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით 2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადი და გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებისა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესობით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასს და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯების სხვაობით.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანდ, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მირებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური ეფექტის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, დაფიქსირდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით .

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

თანამშრომელთა ხელფასები, წლიური შვებულებისა და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდება შესაბამისი მომსახურების მიღება თანამშრომლებისაგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა მოითხოვს განსხვავებულ ბუღალტრულ აღრიცხვას და შეხედულებებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავდ იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB -ს მიერ გამოყენებული ახალი განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2016 წლის 01 იანვრიდან

ბასს 16 და ბასს 38-ის შესწორება (ფასს-ის 2010 - 2012 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემული 2012 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის 01 ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს სრული საბალანსო ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთაზე/ამორტიზაციაზე არსებულ მიდგომას კომპანიის მიერ გადაფასების მოდულის გამოყენების შემთხვევაში. გამომდინარე იქედან, რომ ჯგუფი არ იყენებს გადაფასების მოდულს, კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე ეფექტი არ ვრცელდება.

-- ბასს 19 - ის შესწორება სახელწოდებით „დადგენილი შეღავათების სისტემა: თანამშრომლების შენატანები (გამოცემულია 2013 წლის ნოემბერში) - შესწორებები. რომლებიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდგომ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს თუ როგორ ხდება მუშაობის პერიოდზე თანამშრომლების ან მომსახურებასთან დაკავშირებული მესამე პირების მიერ განხორციელებული კონტრიბუციების განაწილება.

კონკრეტულად კონტრიბუციები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ნამუშევარი წლების რაოდენობაზე, შესაძლებელია აღიარებული იყოს მომსახურების ხარჯების შემცირებად იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა (მუშაობის პერიოდზე გადანაწილების ნაცვლად).

-- ბასს - 24 - ის შესწორება (ფასს-ის 2010 - 2012 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის 01 ივლისს ან შემდგომ პერიოდზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება ისეთი სუბიექტებისათვის გადახდილი თანხების წარდგენა, რომლებიც წარმოადგენენ წამყვანი მმართველი პერსონალის მომსახურების მომწოდებლებს.

-- ბასს 40 - ის შესწორება (ფასს - ის 2011-2013 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის 01 ივლისს ან შემდგომ პერიოდზე, განმარტავს, როგორ ხდება საინვესტიციო ქონების შეძენისას ფასს 3 და ბასს 40 სტანდარტების გამოყენება. ბასს 40 სტანდარტი გამოიყენება საინვესტიციო ქონებისა და მფლობელის მიერ დაკავებული ქონების გამიჯვნაში, ხოლო ფასს 3 იმის დადგენაში, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების შერწყმა (ბიზნეს კომბინაცია).

-- ფასს 3 -ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 წ.წ. ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, ვრცელდება 2014 წლის 01 ივლისს ან შემდგომ პერიოდზე, განმარტავს, რომ ფასს 3 მოქმედების სფერო არ მოიცავს საერთო მმართველობის ორგანიზაციის წარმოქმნის აღრიცხვას ამავე ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში.

-- ფასს 8-ის შესწორება (ფასს-ის 2011 -1013) ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის 01 ივლისს და შემდგომ პერიოდებზე, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ საოპერაციო სეგმენტებზე გაერთიანების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მსჯელობის შენიშვნის სახით წარდგენას. შესწორება განმარტავს, რომ რეკონსილაცია საოპერაციო სეგმენტის აქტივების წარდგენა ხდება რეგულარულად.

-- ფასს 13-ი 2013 წლის დეკემბერში - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის 01 ივლისს ან შემდგომ პერიოდზე, განმარტავს, რომ ფასს 13 - ში არსებული პორტფოლიოს გამონაკლისი, რომელიც აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გაზომოს ნეტო ღირებულებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბასს 39 და ფასს 9 სტანდარტების მოქმედების სფეროში შემავალი ნებისმიერი კონტრაქტისათვის.

-- ბასს 1-ის შესწორება სახეწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს მატერიალურობასა და შეჯამებაზე, ქვეჯამების წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურასა და საარიტცხო პოლიტიკების წარდგენაზე.

-- ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორება სახელწოდებით „ამორტიზაციისა და ცვეთის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოშვებულია 2014 წლის მაისში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებზე სამომავლოდ შესწორებები იძლევა დამატებით მითითებებს და ამასთან განმარტავს, რომ

-- შემოსავლის მეთოდებით აქტივების ცვეთის გამოთვლა არ არის მისაღები, რადგან აქტივის გამოყენებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებაში ძირითადად სხვა ფაქტორებიც იღებენ მონაწილეობას გარდა აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა

-- შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია არამართებულ საფუძვლად ეკონომიკური სარგებლის საზომად არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია ამ წესის უარყოფა

-- ბასს-16 -ისა და ბასს 41-ის შესწორება სახელწოდებით „სიფლის მეურნეობა: ნაყოფის მქონე მცენარეები (გამოყენებულია 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებზე, განსაზღვრავს ნაყოფის მქონე მცენარეებს (ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მისაღებად და ძირითად შემთხვევაში, პროდუქტიული ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განადგურება) და მიაკუთვნებს მათ ბასს 16-ის მოქმედების სფეროს, თუმცა ნაყოფი, რომელსაც ეს მცენარეები იძლევა კვლავ რჩება ბასს 41-ის მოქმედების სფეროში.

-- ბასს 19-ის შესწორება (ფასს -ის 2012 - 2104 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოიყენება საპენსიო სარგებლის განაკვეთის გამოთვლისას, უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც უნდა მოხდეს საპენსიო სარგებლის გადახდა.

--- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში" (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 01 ივლისს და შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებზე, აღადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვლობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩადებული ინვესტიციების აღსარიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

-- ფასს 5 -ის შესწორება (ფასს -ის 2012--2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს ან შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით.

შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.

-- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ პერიოდზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.

--- ფასს 10-ის ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდებით „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება" (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) შესწორებები ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ პერიოდზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანია ჯერ არ იყენებს შემდეგ დამატებებს ან ცვლილებებს, რომლებიც გამოცემულია IASB-ის მიერ, თუმცა 2017 წლის 01 იანვრიდან დაწყებულ ფინანსური წლისათვის ჯერ ძალაში არ არის. მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტების და შესწორებების გამოყენებას კომპანია დაიწყებს მათი ძალაში შესვლის დროს. კომპანიას შესაბამისად შეფასებული აქვს იმ ახალი სტანდარტებისა და შესწორებების პოტენციური გავლენა, რომლებიც ძალაში შევა მომავალ პერიოდში.

--- ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ" (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ პერიოდზე, აუმაჯობებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.

-- ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის 01 იანვარს და შემდგომ პერიოდზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.

-- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემულია 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს-39 სტანდარტს (ასევე ფასს სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 01 იანვარს და შემდგომ პერიოდებისთვის, სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

-- ფასს 9 -ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომო აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით

-- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით. ვალდებულების რისკების ცვლილებებით გამოწვეული მოგებისა და

ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

-- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზების არსებობა.

-- ჰეჯირების აღრიცხვისათვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

-- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.

მენჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9 -ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე, თუმცა დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული, განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება

5. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1	2	3	4	5	6
ღირებულება					
ბალანსი 2016 წლის 01 იანვარი	858,541	10,640,219	102,035	3,066,956	14,667,751
მატება ჩამოწერა	12,612	707,002	16,541	511,257	1,247,412
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	871,153	11,347,221	118,576	3,578,213	15,915,163
მატება ჩამოწერა	8,257	790,640	7,256	230,411	1,036,564
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	879,410	12,137,861	125,832	3,808,624	16,951,727
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2016 წლის 01 იანვარი	40,883	2,886,225	13,309	128,709	3,069,126
ცვეთის ხარჯი გაყიდვა	43,558	2,395,877	22,067	29,747	2,491,249
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერი	84,441	5,282,102	35,376	158,456	5,560,375
ცვეთის ხარჯი	42,261	1,558,442	889	460,063	2,061,655
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	126,702	6,840,544	36,265	618,519	7,622,030
ნარჩენი ღირებულება					
01 იანვარი 2016 წელი	817,658	7,753,994	88,726	2,938,247	11,598,625
31 დეკემბერი 2016 წელი	786,712	6,065,119	83,200	3,419,757	10,354,788
31 დეკემბერი 2017 წელი	752,708	5,297,317	89,567	3,190,105	9,329,697

-- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემული 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის 01 იანვარს და შემდგომ პერიოდზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15; SIC - 27; და IFRIC 4) სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულებები ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. ფასს 16 -ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17 -ის) მიდგომისაგან. მენჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებულ შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი	01 იანვარი 2016 წელი
მზაპროდუქცია	154611	162304	122647
მასალები/ნედლეული	1887097	4399428	3320762
დაუსრულებელი წარმოება			
სხვა მარაგები			
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2041708	4561732	3443409

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არის 2 041 708 ლარი. (2016 წლის 31 დეკემბრისათვის 4 561 732 ლარი 2016 წლის 01 იანვრისათვის 3 443 409 ლარი)

ყველა სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონებით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება მხოლოდ ერთი სახის მოთხოვნისაგან პერიოდების შესაბამისად შემდეგი ნაშთით:

სავაჭროდასხვამოთხოვნები	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი	01 იანვარი 2016 წელი
სავაჭრომოთხოვნები	2334216	3082464	2588206
სულსასაქონლომატერიალურიფასეულობები	2041708	4561732	3443409

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვი უდრის ნოლს (2016 0)

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულიდაფულისექვივალენტები	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი	01 იანვარი 2016 წელი
სულფულიდაფულისექვივალენტები	921339	76304	101134

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იქნას, როგორც არასარიცხოვრებელი ფაქტისგათვალისწინებით, რომ ბანკში, სადაც კომპანიას აქვს ანგარიშები არის სანდო და წარმოადგენს ცნობილ ავტორიტეტულ საკრედიტო დაწესებულებას.

9. კაპიტალი

2010 წლის 03 თებერვლის სარეგისტრაციო დოკუმენტების მიხედვით კაპიტალი განსაზღვრულია 222 676 ლარით და მას შემდეგ ცვლილებები არ განხორციელებულა.

2016 - 2017 წლებში კომპანიამ გასცა შემდეგი დივიდენდები:

გადასახდელი დივიდენდები	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი	01 იანვარი 2016 წელი
გადასახდელი დივიდი 01 იანვარი			
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდი	1 591 474	647 140	
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი	1 591 474	647 140	
სულ გადასახდელი დივიდენდი	1 591 474	647 140	

გადავადებული გადასახადების ანალიზი დროებითი სხვაობების ტიპების მიხედვით ფასს-სა და საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით განსხვავებებს. აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსურ და საგადასახადო მიზნებისათვის დათვლილ ღირებულებებს.

საგადასახადო ეფექტი დროებითი სხვაობების მოძრაობაში 31 დეკემბრისთვის 2016 წელს უტოლდება ნოლს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი/პასივი ამოღებულია 2017 წელს.

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამოდენიმე გამონაკლისებით) ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენებს. შესაბამისად მოხდა მათი ელიმინაცია ანგარიშებიდან.

გაუთვალსწინებელი ხარჯები ვალდებულებები და ოპერაციული რისკები.

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიაჩნია მართებულიად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოს მხრიდან, საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობისა და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში, გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, სანქციებით.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის არიარება არ მომხდარა, ასევე არ არსებობს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი რეზერვი.

. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიას რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გატვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არ სამუშაო მდგომარეობაში:

- ა) უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში
- ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მხრივ
- გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში

ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურდ, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრება გასდცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან. მაგალიტად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებასთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 31 დეკემბრის 2016 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისაგან, რადგან ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ოპერირებს.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შედამღებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობითი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით “შენიშვნები დაკავშირებულია მხარეების შესახებ”, წარმოადგენს:

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები) : ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც ამღევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
 - (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
 - (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
 - (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
 - (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
 - (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
 - (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.
- ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან არ უწარმოებია

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშებზე 2017 წლის 31 დეკემბერი (ლარი)

მენეჯმენტის ანაზღაურება	2017	2016
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	7 204 104	6 426 929
სულ	7 204 104	6 426 929

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. კომპანია ბოლო სამი წელია მოგებაზეა და მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

G შპს საკონსულტაციო კომპანია გვაზავა და პარტნიორები
& **Consulting Company Gvazava and Partners**
P

საპარტოვო, ძეგლისი, შაჰა-ფშაველას ბაზარი №6, ბ.პ. ტელ: 375146; ფაქსი 832 372672. რეგისტრ. 30.07.2008.
6 Vazha-Fshavela Av., 36 apt., Tbilisi, Georgia. Tel: 832 375146; Fax: 832 372672. Registered 30.07.2008.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართუ უნივერსალის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას.

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ქართუ უნივერსალის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრადში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და დასასრულში ჩვენ არ ჩავვითარებთ მარაგების (გარდა მზა პროდუქციის) ფიზიკური დათვალიერება ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მარაგების (მასალების, წარმოების და სხვა მარაგების) რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2017 წლის 31 დეკემბრს და 2016 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად 2 041 708,0 ლარი, 4 561 732,0 ლარი. შედეგად ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება, ზოგადად აღრიცხულ მარაგებთან დაკავშირებით და ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ანგარიშის ფინანსური ანგარიშგების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისათვის. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ შპს „ქართუ უნივერსალისაგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა პირობითი მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება, გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის განმახორციელებლები ასს-ების შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში, ასევე:

-- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისაგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდულო მორიგებას, გაყალბებას, არსწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევა/უარყოფას.

-- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა, სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.

-- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

-- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა მნიშვნელოვნად ჩაიტავლოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება არის მზია გლოველი.

აუდიტორი



მზია გლოველი

27 სექტემბერი 2018 წელი
თბილისი, საქართველო.

შპს „ქართუ უნივერსალის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2016	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	921,339	76,304	101,134
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები			
მოთხოვნები ბანკების მიმართ			
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები			
წარმოებული ფინანსური აქტივები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გადახდილი ავანსები			
გაცემული სესხები			
სესხების გაუფასურების ანარიცხი			
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,041,708	4,561,732	3,443,409
გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			
სავაჭრო მოთხოვნები	2,334,216	3,082,464	2,588,206
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები			
მოთხოვნები ფინანსური ოჯარიდან			
საინვესტიციო კონება			
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში			
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი			
სხვა საგადასახადო აქტივი	657,623	2,188,730	
ბიოლოგიური აქტივები			
სხვა მიმდინარე აქტივები	266,318	378,218	670,733
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,673,662	3,900,391	
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			

ძირითადი საშუალებები	9,329,697	10,354,788	11,598,625
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები			
სულ აქტივები	22,224,563	24,542,627	18,402,107

ვალდებულებები

წარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	571,035	935,941	1,402,236
სხვა ფინანსური ვალდებულებები			
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5,394,790	7,246,605	6,146,770
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		551,579	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			247,500
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
მიღებული გრანტები			
სუბორდინირებული სესხი			
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	5,965,825	8,734,125	7,796,506

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	222,676	222,676	222,676
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
წილობრივი გადახდის რეზერვი			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	16,036,062	15,585,826	10,382,925

სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	16,258,738	15,808,502	10,605,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	22,224,563	24,542,627	18,402,107

დირექტორი

გ. ჭყონია

გ. ჭყონია

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2017 წ.	2016 წ.
შემოსავალი		35422285	33765922
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		32497567	26152339
საერთომოგება		2924718	7613583
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		1610147	1673049
საოპერაციო მოგება		1314571	5940534
ფინანსური ხარჯები			
(ზარალი)/მოგება საკუთარ სხვაობიდან		718880	816154
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		8259	68575
მოგება/ზარალი და ბეგრამდე		2041710	6825263
მოგების გადასახადი			975222
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი			
წმინდამოგება/ზარალი		2041710	5850041

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარი

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2016 წელი		222,676	10,382,925	10,605,601
პერიოდის მოგება			5,850,041	
გაცემული დივიდენდი			647140	
31 დეკემბერი 2016 წელი		222,676	15,585,826	15,808,502
პერიოდის მოგება			2,041,710	
გაცემული დივიდენდი			1,591,474	
31 დეკემბერი 2017 წელი		222,676	16,036,062	16,258,738

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერი

ლარი

	შენიშვნა	2017 წ.	2016 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,041,710.00	6,825,263.00
ცვეთა ამორტიზაცია		2,061,655.00	2,491,249.00
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან			
მოგება/ზარალი სავალუტო სახრების გადაფასებიდან		718,880.00	816,154.00
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		4,822,245.00	10,132,666.00
გაცემული სესხები			
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში		2,520,024.00	(1,118,323.00)
ზრდა/შემცირება გადახდილი ავანსები			
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		748,248.00	(494,258.00)
ზრდა/შემცირება გადასახდელ გადასახადებში		(1,871,760.00)	244,125.00
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		916,485.00	162,216.00
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან		2,312,997.00	(1,206,240.00)
გადახდილი პროცენტი		(751,811.00)	(785,930.00)
წმინდა ფულის შემოსავლა(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		1,561,186.00	(1,992,170.00)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა (მათ შორის მიწა)		(3,809,835.00)	(5,147,803.00)

ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში			
არამატერიალური აქტივების შეძენა			
სარეზერვო კაპიტალი			
წმინდა ფული (გამოყენებული) მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,809,835.00)	(5,147,803.00)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხი		11,369,274.00	8,331,999.00
გადახდილი სესხი		(11,506,361.00)	(10,702,382.00)
გადახდილი დივიდენდი		-1591474	-647140
წმინდა ფული (გამოყენებული) მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(1,728,561.00)	(3,017,523.00)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		0	0
წმინდა ფულის ზრდა		845,035.00	(24,830)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		76,304.00	101,134.00
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		921,339.00	76,304.00

დირექტორი

გ. ჯიჯია

გ. ჯიჯია

მმართველობის ანგარიშგება

2018

09/2018 შპს ქართუ უნივერსალი

მართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ქართუ უნივერსალის“ მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს „ქართუ უნივერსალის“ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევექიდით ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „„ქართუ უნივერსალი““ შეიქმნა 1996 წელს.

შპს „ქართუ უნივერსალი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურუდიული მისამართია ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი II ჩიხი #11, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204885874

კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

- 1) 01008000849, გიორგი თოფაძე 23.5%
- 2) 01008010799, ვლადიმერ გაწერელია 4%
- 3) 01018000518, ზურაბ კოსტავა 3%
- 4) 01018003241, გიორგი ჭყონია 4%
- 5) 01008016933, პაატა ქვლივიძე 3%
- 6) 01024024666, ლევან კავლეიშვილი 2.4%

- 7) 01018003215, ვლადიმერ კუხიანიძე 2.4%
 - 8) 01008008045, გიორგი გვასალია 2.4%
 - 9) 01005011697, ირაკლი კანკია 2.4%
 - 10) 01005003998, დავით კილურაძე 2.4%
 - 11) 01019010260, ქეთევან ბოლქვაძე 0.5%
 - 12) 01024001118, გიორგი თედორაძე 2%
 - 13) 01008009172, ნიკოლოზ სვანიძე 4%
 - 14) 01008026530, ეკატერინე მაგნიძე 1%
 - 15) 31001008089, ნიკოლოზ სონღულაშვილი 1%
 - 16) 01008004721, ირაკლი თოფაძე 23%
 - 17) 01008005986, გიორგი თოფაძე 15%
 - 18) 01005011547, ოთარი ჭილაძე 1%
 - 19) 01008014210, გიორგი თოფაძე 2%
 - 20) 01008002259, ფატი კაპანაძე 1%
- კომპანიის დირექტორია გიორგი ჭყონია.

რას ვსაქმიანობთ

შპს „ქართუ უნივერსალი“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება და მისი რეალიზაცია.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი გიორგი ჭყონია.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

გიორგი ჭყონია შპს „ქართუ უნივერსალი“ დირექტორად დაინიშნა 2003 წლიდან და არის პროფესიონალი, წარმოებაში მუშაობის დიდი გამოცდილებით.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა.

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის

პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავედროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამოა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

შპს „ქართუ უნივერსალი“ დასაქმებულია დაახლოებით 450-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „ქართუ უნივერსალი“ მიმართ არ აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი.

უფლებამოსილი პირი - დირექტორი

გ. ჭყონია

გ. ჭყონია

